## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/289

27/07/2023

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართით განსაზღვრულ სამინისტროს სისტემის დანაყოფებს დაევალოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამის ვადაში შესრულება.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძეს.
4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

*დანართი*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის

2023 წლის სამოქმედო გეგმა

| მიზანი 1. | | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა 1.1. | | სამართალ წარმოების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება | | | | | | |
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი დანაყოფი | პარტნიორი დანაყოფი/ უწყება | შესრულე ბის ვადა | დაფინანსების წყარო |
| 1.1.1 | გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან და არასრულწლოვან პირთა ეფექტური ჩართულობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების შესახებ სასწავლო მოდულის შემუშავება | 1.1.1.1 | შემუშავებულია სასწავლო მოდული | შემუშავებული სასწავლო მოდული | სსიპ - შსს აკადემია | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | III კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| 1.1.2 | გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან და არასრულწლოვან პირთა ეფექტური ჩართულობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების შესახებ სასწავლო მოდულის მიხედვით, ტრენერთა ტრენინგის ჩატარება | 1.1.2.1 | ჩატარებულია ტრენერთა ტრენინგი და გადამზადებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 10 თანამშრომელი და შსს აკადემიის 10 ინსტრუქტორი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსიპ - შსს აკადემია | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>ადამიანის ფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.3 | შშმ თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა | 1.1.3.1. | ჩატარებულია მინიმუმ 5 სამუშაო შეხვედრა | შიდაუწყებრივი ანგარიში | ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“<br><br>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი<br><br>სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | III-IVკვარტა ლი | დონორული მხარდაჭერა |
| 1.1.4. | შშმ ქალების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავებისთვის ტრენინგების ჩატარება | 1.1.4.1. | შშმ ქალების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სამართალდამცავების თვის ჩატარებულია მინიმუმ 2 ტრენინგი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| 1.1.5. | საერთაშორისო დაცვის მიმართულებით სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა (მათ შორის, შშმ პირთა) ადრეული იდენტიფიკაციის მექანიზმის შემუშავება | 1.1.5.1. | შემუშავებულია საერთაშორისო დაცვის მიმართულებით სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა (მათ შორის, შშმ პირთა) ადრეული იდენტიფიკაციის მექანიზმი | საერთაშორისო დაცვის მიმართულებით სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა (მათ შორის, შშმ პირთა) ადრეული იდენტიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი | მიგრაციის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |

| მიზანი 2. | | მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა 2.1. | | საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავების ზედამხედველობა და მათი განხორციელების მხარდაჭერა | | | | | | |
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი დანაყოფი | პარტნიორი დანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო |
| **2.1.1** | მონიტორინგი უწყებრივ და მუნიციპალურ საგანგებო მართვის გეგმებში შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების გათვალისწინების კუთხით | **2.1.1.1.** | სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შშმ პირთა საჭიროებების ჭრილში შეფასებულია შესაბამისი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანგებო მართვის ყველა გეგმა | შეთანხმებული დოკუმენტები და შესაბამისი დასკვნები | სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **2.1.2.** | მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება | **2.1.2.1.** | ტრენინგები ჩატარდა თბილისის, სამტრედიის, აბაშის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი<br><br>დონორული მხარდაჭერა |
| **2.1.3.** | შშმ პირთა სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში | **2.1.3.2.** | თბილისისა და ქუთაისის რესურს სკოლებში ჩატარებულია 5 ტრენინგი შშმ ბავშვებისთვის | ტრენინგების მომზადებული ანგარიშები | სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით | | | | | |
| 2.1.4. | შშმ ბავშვების ცნობიერების ამაღლება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესთან დაკავშირებით | 2.1.4.1 | 5 რესურს სკოლაში შშმ ბავშებისთვის ხელმისაწვდომია საინფორმაციო ბროშურები საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესის შესახებ | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი<br><br>დონორული მხარდაჭერა |
| მიზანი 3. | | სამინისტროს სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | | | | | | |
| ამოცანა 3.1. | | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებაზე მორგებული კომუნიკაციისა და ინფორმაციაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა | | | | | | |
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი დანაყოფი | პარტნიორი დანაყოფი/უწყება | შესრულე ბის ვადა | დაფინანსების წყარო |
| 3.1.1. | შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მობილური აპლიკაციის „112 Georgia" განახლება და განახლების ფარგლებში ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის ვიდეოზარის ფუნქციის დამატება, აპლიკაციის თარგმნა დამატებით სომხურად და აზერბაიჯანულად | 3.1.1.1. | შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მობილური აპლიკაცია „112 Georgia" განახლებულია და განახლების ფარგლებში ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის ვიდეოზარის ფუნქცია დამატებულია, აპლიკაცია თარგმნილი და | განახლებული აპლიკაცია | სსიპ - საზოგადოებრივ ი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | I კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი<br><br>დონორული მხარდაჭერა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ხელმისაწვდომია 5 ენაზე: ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული | | | | | |
| **3.1.2.** | ,,112 Georgia" განახლებული აპლ იკაციის თაობაზე საინფორმაციო კამპანიის წარმართვა | **3.1.2.1.** | 10 %-ით გაზრდილია აპლიკაციის, როგორც 112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის, მომხმარებელთა რაოდენობა | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - საზოგადოებრივ ი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი<br><br>დონორული მხარდაჭერა |
| **3.1.4.** | საკონსულტაციო კომპანია IRC-ის მიერ 2021 წელს მომზადებული რეკომენდაციების შესრულება | **3.1.4.1.** | გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, საკონსულტაციო კომპანია IRC-ის მიერ მომზადებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების გაუმჯობესება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების თბილისის ცენტრში“ 2021 წლის რეკომენდაციების 100% შესრულებულია | შიდაუწყებრივი ანგარიში | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **3.1.5.** | შშმ პირების ინფორმირება სამინისტროში ინფორმაციის | **3.1.5.1** | სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე | შიდაუწყებრივი ანგარიში | შსს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | I-II კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან დაკავშირებით | | (www.info.police.ge) სუბტიტრებითა და ჟესტური ენით, ადაპტირებული ფორმით, სამინისტროში ინფორმაციის ხელმისაწვდომის სტანდარტებთან დაკავშირებით განთავსებულია ვიდეორგოლი | | | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | | |
| **3.1.6.** | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს რეგიონალური დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში პროგრამულად ისეთი დამატებითი ფუნქციის დანერგვა, რომელიც რიგის მართვის შესაძლებლობას იძლევა | **3.1.6.1.** | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს რეგიონალური დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში პროგრამულად დანერგილია ისეთი დამატებითი ფუნქცია, რომელიც რიგის მართვის შესაძლებლობას იძლევა | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **3.1.7.** | ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღების შესახებ კვლევის ჩატარება | **3.1.7.1** | კვლევა ჩატარებულია | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| მიზანი 4. | | **სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საჭირო უნარების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის** | | | | | | |

| ამოცანა 4.1. | | სამინისტროს მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი დანაყოფი | პარტნიორი დანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო |
| **4.1.1.** | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში შშმ პირთა იდენტიფიცირებისა და კომუნიკაციის სტანდარტზე სასწავლო მოდულის შემუშავება | **4.1.1.1.** | შემუშავებულია სასწავლო მოდული | შემუშავებული სასწავლო მოდული | სსიპ - შსს აკადემია | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | III კვარტალი | დონორული მხარდაჭრა |
| **4.1.2.** | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა გადამზადება (TOT) | **4.1.2.1.** | ტრენერად მომზადებულია სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 10 თანამშრომელი | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს აკადემია | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| **4.1.3.** | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება | **4.1.3.1.** | გადამზადებულიასსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 200 თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია | | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **4.1.4.** | პატრულ-ინსპექტორების, მესაზღვრე-კონტროლიორებისა დაერთიანი მომსახურებისცენტრის თბილისისა და რეგიონული დანაყოფების ინსპექტორების შშმ პირთა უფლებებსა და კომუნიკაციის სტანდარტზე გადამზადება | **4.1.4.1.** | გადამზადებულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 200 თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>სსიპ - შსს აკადემია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა<br><br>ადმინისტრაციული რესურსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | დეპარტამენტი | | |
| **4.1.5.** | საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორების, მესაზღვრე-კონტროლიორებისა და ერთიანი მომსახურების ცენტრის თბილისისა და რეგიონული დანაყოფების თანამშრომლების გადამზადება ჟესტურ ენაში კომუნიკაციის მიმართულებით | **4.1.5.1.** | გადამზადებულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 10-მდე თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | საპატრულო პო ლიციის დეპარტ ამენტი | საერთაშორისო ურთიერთობებ ის დეპარტამენტი | I-IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| **4.1.6.** | სსიპ - შსს დაცვის პოლიციის თანა მშრომელთა გადამზადება შ შმ პირთა უფლებებისა და კ ომუნიკაციის სტანდარტებზ ე | **4.1.6.1.** | გადამზადებულია სსიპ - შსს დაცვის პოლიციის 40-მდე თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსიპ - შსს დაცვის პო ლიცია | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი<br><br>სსიპ - შსს აკადემია | I-II კვარტალი | დონორული მხარდაჭერა<br><br>ადმინისტრაციული რესურსი |
| **4.1.7.** | დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირებთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტებზე | **4.1.7.1.** | გადამზადებულია დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 20 თანამშრომელი (ექიმები) და დროებითი მოთავსების | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | დროებითი მოთავსების უზრუნველყოფი ს დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი<br><br>სსიპ - შსს აკადემია | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა<br><br>ადმინისტრაციული რესურსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | უზრუნველყოფის დეპარტამენტის 40 მოსამსახურე შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტებზე | | | | | |
| **4.1.8.** | მეხანძრე- მაშველებისთვის შემუშავებული სასწავლო მოდულის განახლება | **4.1.8.1.** | სასწავლო მოდული განახლებულია | სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა | შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო | | I კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **4.1.9.** | შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრში დანერგილია შესაბამისი სასწავლო კურსი და მოწვეული ინსტრუქტორის (შშმ პირი) მიერ გადამზადებულია მეხანძრე-მაშველები, შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ | **4.1.9.1.** | კურსი გავლილი აქვს 150 მეხანძრე-მაშველს | შიდაუწყებრივი ანგარიში<br><br>დასწრების აღრიცხვის ფურცელი | შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო | | I-II-III-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **4.1.10** | პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო | **4.1.10.1.** | პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსიპ - შსს აკადემია | | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროგრამის მსმენელების გადამზადება „შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტზე“. | | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთ ა რაოდენობის შესაბამისად | | | | | |
| **4.1.11** | ცნობიერების ამაღლება სამინისტროს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების თაობაზე | **4.1.11.1.** | ჩატარებულია ტრენერთა ტრენინგი (TOT) და გადამზადებულია არაუმეტეს 100 თანამშრომელი, რომელთა უშუალო მოვალეობას წარმოადგენს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | შსს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | III-IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| **4.1.12** | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეთა გადამზადება შშმ პირებთან მომსახურების ხარისხისა და კომუნიკაციის სტანდარტის საკითხზე | **4.1.12.1.** | ჯამში გადამზადებულ იქნა სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს 434 მოსამსახურე. | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსიპ შსს მომსახურების სააგენტო | | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **4.1.13** | მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება როგორც შშმ პირთა იდენტიფიკაციის (შეზღუდვის ნიშნის მიხედვით), ისე ამ პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დახვეწის კუთხით | **4.1.13.1.** | გადამზადებულია მიგრაციის დეპარტამენტის 25 თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | მიგრაციის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობებ ის დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.1.14 | ცნობიერების ამაღლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების თაობაზე | 4.1.14.1 | გადამზადებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის 23 თანამშრომელი | დასწრების აღრიცხვის ფურცელი | სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ | სსიპ - შსს აკადემია | I კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| 4.1.15 | შსს-ს სასწავლო მოდულების გადახედვა/შემუშავება და მათში ისეთი სესიების ასახვა, რომლებშიც განხილული იქნება შშმ ქალთა საჭიროებები, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობების ინტერსექციული ხასიათი, შშმ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები | 4.1.15.1 | შესაბამის სასწავლო მოდულებში ასახულია შესაბამისი სესიები | შიდაუწყებრივი ანგარიში | ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | სსიპ შსს აკადემია<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| **მიზანი 5.** | | **არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა** | | | | | | |
| **ამოცანა 5.1.** | | **შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის ადაპტირება** | | | | | | |
| **აქტივობა** | | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი დანაყოფი** | **პარტნიორი დანაყოფი/უწყება** | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5.1.1** | სამინისტროს არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლა/აუდიტი და შენობა-ნაგებობების ადაპტირება ან უნივერსალური დიზაინით უზრუნველყოფა | **5.1.1.1.** | სამინისტროში არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილი შესწავლილია, გამოვლენილია საჭიროებები და ნაწილი ადაპტირებულია ან უზრუნველყოფილია უნივერსალური დიზაინით | შიდაუწყებრივი ანგარიში | ლოჯისტიკის დეპარტამენტი | | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **5.1.2.** | დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება | **5.1.2.1** | ნაწილობრივ ადაპტირებულია დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად.<br><br>დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, კახეთის რეგიონული სამსახურის გურჯაანის დროებითი | შიდაუწყებრივი ანგარიში | დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი | ლოჯისტიკის დეპარტამენტი | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მოთავსების იზოლატორში გაუმჯობესებულია ადაპტაციის ხარისხი. | | | | | |
| **5.1.3** | სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ევაკუატორით გადაადგილების სერვისცენტრები ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე | **5.1.3.1** | ევაკუატორით გადაადგილების სერვისცენტრების შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - საზოგადოებრივ ი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ | | III კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **5.1.4** | შსს ადმინისტრაციული შენობის შშმ პირების საჭირობებთან სრულად ადაპტირების გეგმის პროექტის შემუშავება | **5.1.4.1** | გეგმის პროექტი შემუშავებულია | შიდაუწყებრივი ანგარიში | ლოჯისტიკის დეპარტამენტი | ეკონომიკური დეპარტამენტი | IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **5.1.5** | კასპის, ხულოს, ბორითისა და ონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი (მშენებარე) შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის უზრუნველყოფა | **5.1.5.1** | საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მშენებარე შენობა-ნაგებობის (ხულოს,ბორითიდა ონის) და ახლად აშენებულ შენობა-ნაგებობის (კასპის) მისაწვდომობა უზრუნველყოფილია | ახალი შენობების არქიტექტურული პროექტები<br><br>შიდაუწყებრივი ანგარიში | სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | I-IV კვარტალი | ადმინისტრაციული რესურსი |
| **5.1.6** | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს რეგიონალური დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს (ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. 21-ში მდებარე შენობა- | **5.1.6.1.** | პანდუსებზე დამაგრებულია ე.წ ანტისლიპერები | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაგებობები) ფიზიკური სივრცის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომობა ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურის შესაბამისად მოწყობა | **5.1.6.2.** | სხვადასხვა ფლიგელთან მისასვლელ კიბეებზე, კიბის მთელი საფეხურის კიდეზე და საფეხურის მთელ სიგანეზე დამონტაჟებულიადაც ურების საწინააღმდეგო კონტრასტული მეტალის ან რეზინის კანტები | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| | | **5.1.6.3.** | შენობებში შესასვლელ კარებებს დამაგრებულია შუშის უსაფრთხოების სტიკერები, ან შუშის მანიფესტაციები (მოჭიქული უზნების ხაზგასასმელად) | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| | | **5.1.6.4.** | ცენტრალური ფლიგელის შესასვლელში საინფორმაციო დაფა (ბრაილის შრიფტით) განთავსებულია | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| | | **5.1.6.5.** | გარე პერიმეტრზე არსებული ყველა კიბის მოაჯირი ადაპტირებულია | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| | | **5.1.6.6.** | მცირემხედველთადა უსინათლოებისათვის დაგებულია ტაქტილური ბილიკები როგორც | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შენობის შიგნით, ასევე შენობის შესასვლელებთან | | | | | |
| | | 5.1.6.7. | დამონტაჟებულია შესაბამისი საინფორმაციო მითითებები | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| | | 5.1.6.8. | იარაღის რეგისტრაციის შენობის შიდა ეზოში გასასვლელ კარებთან და კიბესთან არსებული პანდუსი გადიდებულია სიგანეში კიბის ხარჯზე თავისი მოაჯირით და პანდუსზე გადასასვლელი სივრცე სწორი და ერთგვაროვანია | შიდაუწყებრივი ანგარიში | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო | | IV კვარტალი | სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები |
| მიზანი 6. | | სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა | | | | | | |

| ამოცანა 6.1. | | კომუნიკაციის გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი დანაყოფი | პარტნიორი დანაყოფი/უწყება | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო |
| **6.1.1.** | შსს-სთან მოქმედი შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრების ჩატარება | **6.1.1.1.** | ჩატარებულია მინიმუმ 4 საკონსულტაციო შეხვედრა შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით | შიდაუწყებრივი ანგარიში | ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | I-IV კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |
| **6.1.2.** | შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო ღონისძიების ჩატარება შშმ თემის მონაწილეობით | **6.1.2.1.** | ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრა შშმ თემთან შშმ სამოქმედო გეგმის შესრულების თობაზე | შიდაუწყებრივი ანგარიში | ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი | საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | III კვარტალი | დონორული მხარდაჭერა |